

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS and BUSINESS
ЭКОНОМИКА и БИЗНЕС

იანვარი-თებერვალი
JANUARY-FEBRUARY
ЯНВАРЬ-ФЕВРАЛЬ

2013

03363 უკანონოების საბუნებისმეტყველო საბუნებისმეტყველო
კონსტრუქციისა და კონსტრუქციის საბუნებისმეტყველო კონსტრუქციის
და კონსტრუქციის საბუნებისმეტყველო კონსტრუქციის

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №1,
თსუ მადლიძე კორპუსი, მე-13 ხართ., ტელ. 230-36-68, 599-10-38-16
e-mail: cbf.journal@tsu.ge

შინაარსი

საშობაო ვისიტოლე 11

პრონოზიკური თეორია და პრონოზიკური პოლიტიკა

რევაზ გველშინანი. ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებათა რაციონალური გამოყენების დოკტრინა	17
სლავა წიგულავა, შალვა ბობიაშვილი. საქართველოს კონკურენციის პოლიტიკის სრულყოფის მიმართულებები	33
ენვირ ლაბვილაშვილი. ელექტრონული სახელმძღვანელოს შექმნის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები	45

მიკრო-მაკროეკონომიკა

ია ნაცვლიშვილი. ინოვაციური მიდგომები გლობალურ ვაჭრობაში – მსოფლიო კეთილდღეობის გაუმჯობესების ფაქტორი (ინგლისურ ენაზე)	61
ბაუნაშ პარმიაშვილი. ველნეს (Wellness) ინდუსტრია და მისი განვითარების სტრატეგია საქართველოში	79
ნათია ლაღვიშვილი. ღრმა და ყოველსმომცველი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (DCFTA) - რეალობა თუ “პარტნიორობა ქალაქდზე?”	91
თენგიზ თაქთაქიშვილი. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში და მისი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ფორმები	99

შინაინსური ეკონომიკა

აკაკი ბაბუღია. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის ეკონომიკური მნიშვნელობის შეფასება და პროგნოზირება	111
ვახტანგ ზარაია. საბანკო ზედამხედველობის მარვეუღორებელი სტანდარტების დანერგვის თავისებურებები საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში	121

ბუღალტრული აღრიცხვა. აუდიტი

მარინა მამსურაძე. საწარმოთა აქტივების გაუფასურების რევეღორება	143
ზიზიკო აღვიშვილი. აუდიტური კონტროლი: ისტორია, თანამედროვეობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში	153

კრიტიკა

იური ანანიავილი, ვლადიმერ (ლარი)აკაკია. ქართველი ეკონომისტის ღლიტვაში გამოქვეყნებული პლაგიატური სტატიის შესახებ	171
--	-----

ჩვენი იუბილარები

პროფესორი ქეთევან მარშავა	193
---------------------------------	-----

ქართული ეკონომისტის ლიტვაში
ბამრქვეყნებული კლავიატური
სტატიის შესახებ

იური ანანიავშილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
ვლადიმერ (ლალე) კაკაბა
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლიტვაში გამომავალმა ჟურნალმა “Intellectual Economics” 2012 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდა ინგლისურენოვანი სტატია “The Influence of Optimal Tax Burden on Economic Activity and Production Capacity” (ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გავლენა ეკონომიკურ აქტიურობასა და წარმოებრივ სიმძლავრეზე) [1], რომლის ავტორად მოიხსენიება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიორგი აბუსელოძე. სტატიამ ჩვენი ყურადღება მაშინვე მიიქცია ორი გარემოების გამო: ერთი, რომ სათაურში დასმული პრობლემა ჩვენი სამეცნიერო ინტერესების სფეროში ექცევა და მის შესახებ არაერთი ნაშრომი გვაქვს შექმნილი და გამოქვეყნებული როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში; მეორე, ქართველი ეკონომისტები, სამწუხაროდ, იშვიათად ვახერხებთ საერთაშორისო არენაზე ჩვენი სამეცნიერო საქმიანობის შედეგების გატანას, ამიტომ, ყოველი ასეთი მცდელობა სასიამოვნო სიურპრიზად აღიქმება და ბუნებრივად ჩნდება მისი გაცნობის ინტერესი.

უნდა ვაღიაროთ, რომ გ. აბუსელოძის სტატია ჩვენთვის მართლაც სიურპრიზი აღმოჩნდა, ოდონდ არასასიამოვნო, რადგანაც იგი მეცნიერული არაკეთილსინდისიერების ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ამ უკანასკნელში რომ დატყობუნდეს ჩვენი მკითხველი, გავაანალიზოთ ზოგიერთი რამ აღნიშნული

სტატიაიდან, რომლის ფორმალური სტრუქტურა ჟურნალისათვის მისაღებ სტანდარტულ ჩარჩოშია მოქცეული და შედგება რეზიუმის, შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის, კვლევითი ნაწილის და დასკვნებისა და რეკომენდაციებისგან.

დავიწყოთ რეზიუმით. ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ რეზიუმეში მოკლედ უნდა იყოს გადმოცემული თუ რას ეხება ნაშრომი და რა არის მასში ავტორის მიერ გაკეთებული. ჩვენი თავდაპირველი გაცემა გამოიწვია სწორედ იმ ფაქტმა, რომ აღნიშნულის ნაცვლად რეზიუმის სახით გაბუსხელობის სტატიას წამძღვარებული აქვს ორი აბზაცი ჩვენი ერთ-ერთი სტატიის [2-4] დასაწყისიდან. ეს სტატია თავის დროზე მივუძღვენით საგადასახადო ტვირთის შეფასების ორი სახეობის – გარდაქმნის ტიპის მოდელის და ქცევითი ტიპის მოდელის ანალიზს. პირველი მათგანი ეკუთვნის საგადასახადო ტვირთის ცნობილ მკვლევარს ვვგენი ბალაცკის, ქცევითი მოდელი კი ჩვენ მიერ შემოთავაზებული კონსტრუქციაა. ორივე მოდელი საშუალებას იძლევა შევაფასოთ ე.წ. პირველი და მეორე გვარის ფისკალური წერტილები, რომელთა ცნებაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიღო ვვგენი ბალაცკიმ. ჩვენს სტატიაში დასაბუთებულია, რომ, რადგანაც საგადასახადო ტვირთი გარდაქმნის მოდელში რესურსების გამოყენების ტექნოლოგიისა და ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორია, ხოლო ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ქცევით მოდელში – რესურსების გამოყენების მოცულობის და ეკონომიკური აქტიურობის დონის განმსაზღვრელი ფაქტორი, ამიტომ ღლაფერის ცნობილ კონცეფციას მხოლოდ ქცევითი მოდელიდან მიღებული წერტილები შეესაბამება. ამ შედეგზე რომ მივსულიყავით, სტატიის შესავალი ნაწილი შემდეგი ტექსტით დავიწყეთ:

“განსაკუთრებულ დასაბუთებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ გადასახადების გარეშე თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ამავ დროს, აღიარებულია, რომ დაბევრა გავლენას ახდენს მოხმარებასა და დაზოგვაზე, ინვესტირებაზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე,

ფასწარმოქმნაზე, ბაზრების მაშტაბებზე და ა.შ [5-6]. ეს ყველაფერი, საბოლოოდ, პირდაპირი და ირიბი სახით წარმოების მოცულობაზე და ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე აისახება.

გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის ზემოქმედება შეიძლება ორი განსხვავებული ვითო განხორციელდეს. ერთი მხრივ, აგრეგირებული საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს წარმოების ტექნოლოგიასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გააღწენს ახდენს გამოშვების მოცულობასა და ბიუჯეტის შემოსავლებზე; მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის ცვლილება ზემოქმედებს ეკონომიკური რესურსების გამოყენების მოცულობაზე და განაპირობებს წარმოებისა და ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას ან შემცირებას რესურსების წარმოებაში ჩართულობის ცვლილების შესაბამისად”.

ეტყობა ბატონ აბუსელდიძეს ტექსტის ეს ნაწილი იმდენად მოეწონა, რომ მცირეოდენი ცვლილებით და დამახინჯებით (საგარაუდოდ თარგმანის გაუღწენის შედეგად) რეზიუმეში ასახა. მოვიყვანოთ მისი რეზიუმის სრული ვარიანტი შესაბამისი თარგმანით. გ. აბუსელდიძე წერს:

“Abstract. That the modern state couldn't exist without taxes is something that doesn't need to be argued to society. It is also acknowledged that tax burden influences not only the budget revenues, but investments, demand and supply, prices and others. All this has direct as well as indirect influence on the economic activity and production capacity. In the concept of tax burden the important fact is the connection of tax burden with the economic activity and production capacity. The influence of tax burden on budget tax revenues and production capacity can be realized in two different ways. On the one hand, tax burden influences production technologies, effective usage of resources that accordingly will be depicted on the production capacity and, on the other hand, the change of tax burden influences budget tax revenues that will be depicted on the economic activity.

რეზიუმე. ის, რომ თანამედროვე სახელმწიფოს არ შეუძლია გადასახადების გარეშე არსებობა, არის ის, რის დასაბუთებაც არ საჭიროებს საზოგადოება. ამავდროს, აღიარებულია, რომ საგადასახადო ტვირთი გავლენას ახდენს არა მარტო ბიუჯეტის შემოსავლებზე, არამედ, აგრეთვე, ინვესტიციებზე, მოთხოვნასა და მიწოდებაზე, ფასებზე და ა.შ. ყოველივე ამას როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი გავლენა აქვს საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობაზე. საგადასახადო ტვირთის კონცეფციაში მნიშვნელოვანი ფაქტია კავშირი საგადასახადო ტვირთსა და საქმიან აქტიურობასა და წარმოების შესაძლებლობას შორის. წარმოების შესაძლებლობაზე და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებზე საგადასახადო ტვირთის გავლენა შეიძლება ორი განსხვავებული გზით განხორციელდეს. ერთი მხრივ, საგადასახადო ტვირთი ზემოქმედებს წარმოების ტექნოლოგიაზე, რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე და ამ სახით გავლენას ახდენს წარმოების შესაძლებლობაზე მეორე მხრივ, საგადასახადო ტვირთის ცვლილება ზემოქმედებს ბიუჯეტის შემოსავლებზე და აისახება საქმიან აქტიურობაზე”.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. აბუსელიძის სტატიაში გამოცემული ტექსტის შინაარსთან, თუ არ გავითვალისწინებთ გამოყენებული ტერმინების მსგავსებას, ამ სახის რეზიუმეს პრაქტიკულად არაფერი საერთო არ გააჩნია.

ვინაიდან ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გ. აბუსელიძის სტატიაში მოცემული ყველა ასპექტის განხილვა – ეს ძალიან შორს წაგვიყვანს – გამოვტოვებთ სტატიის იმ პარაგრაფებს, რომელთა სათაურებია შესავალი და ლიტერატურის მიმოხილვა (თუმცა, არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ სახელწოდების სათაურის არსებობის მიუხედავად, სტატიაში რვაღურად ლიტერატურის მიმოხილვას ადგილი არა აქვს) და გადავალთ ვ.წ. კვლევითი ნაწილის დახასიათებაზე.

სამწუხაროდ, იმის ნაცვლად, რომ გ. აბუსელიძეს აქ საკუთარი კვლევის რაიმე შედეგი მოეყვანა, თითქმის მთლიანად შემოიფარგლა კარგად ცნობილი მასალის აღწერით. ამასთან, ამ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გადასახადების

ეკონომიკურ სუბიექტებზე (მწარმოებლებსა და მომხმარებლებზე) გადაკისრებას ეხება, აღებულია ეკონომიკის ცნობილი სახელმძღვანელოებიდან, ხოლო ტექსტის პირველი ოთხი აბზაცი კი თითქმის მთლიანად კვლავ ერთ-ერთი ჩვენი სტატიიდან [7] ან წიგნიდან [8, გვ. 38-40] არის ამოგლეჯილი და მითვისებული, მცირედენ დამახინჯებული (საგარაუდოდ თარგმანის გამო¹) ფორმით. კერძოდ, აღნიშნულ სტატიაში განხილულია ერთობლივი გამოშვების (Y) საშუალო საგადასახადო განაკვეთზე (t) დამოკიდებულების ფუნქცია $Y = Y(t)$, რომელიც, მიწოდების ეკონომიკური თეორიის ფარგლებში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ზრდადია, როცა საშუალო საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობა 0-დან გარკვეულ, მაგალითად, t^* , $0 < t^* < 1$ დონემდე იზრდება და კლებადაა t-ს ცვლილების მომდევნო $(t^*, 1)$ შუალედში. ამ მოსაზრების ჩვენეული დასაბუთება შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული.

“საშუალო საგადასახადო განაკვეთთან მიმართებაში ერთობლივი გამოშვების ფუნქციის აქ აღნიშნული თავისებურება დადებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების ჯამის საშუალებით შეიძლება აეხსნათ. შემდეგში დადებითს ვუწოდებთ ეფექტს, რომელიც გადასახადის გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობისა და ერთობლივი გამოშვების ხელშემწყობია, ხოლო შემცი რებისას - ხელშემშლელი ხდება. შესაბამისად, უარყოფითს მივაკუთვნებთ ეფექტებს, რომლებიც ეკონომიკურ აქტიურობასა და ერთობლივ გამოშვებას გადასახადების გადიდებისას ამცირებს, შემცირებისას კი ზრდის.

დადებითი ეფექტების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური გარემოს (ან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის) შექმნის ეფექტი და შემოსავლების ეფექტი. ეკონომიკური გარემოს შექმნის ეფექტი გულისხმობს, რომ საშუალო

¹ამ გარემოებას კიდევ ერთხელ ხაზს უეხვამთ იმის გამო, რომ სტატიის მთლიანი ტექსტის ცალკეული წინადადებები ინგლისურად იმდენად გაუმართავია, რომ სოციალურ სუსტი შინაარხის გამოტანა შეუძლებელია.

საგადასახადო განაკვეთის ზრდა აფართოებს სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობას და იგი უკეთესად ასრულებს მასზე დაკისრებულ ეკონომიკურ ფუნქციებს. ეს ეფექტი ერთობლივ მიწოდებაზე დადებითად აისახება, რადგანაც გაზრდილი საგადასახადო შემოსავლების პირობებში, ჯერ ერთი, იზრდება საკუთრივ სახელმწიფო სექტორის მხრიდან მიწოდება მის მიერ მეტი პროდუქტისა და მომსახურების შექმნის გზით და, მეორე, სახელმწიფო აუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ერთობლივი მიწოდების გადიდების ხელშეწყობისათვის. შემოსავლების ეფექტი ახასიათებს ინდივიდების ქცევაზე გადასახადების პირდაპირ ზემოქმედებას. ე. ატკინსონის და ჯ. სტიგლიცის მიხედვით, შემოსავლების ეფექტი წარმოიქმნება იმის გამო, რომ გადასახადების ამოღება ინდივიდების შემოსავლების შემცირებას იწვევს, ისინი რეალურად ღარიბებიან და იძულებული არიან გადადონ პენსიაზე გასვლის დრო, სამუშაო დროის გაზრდის ხარჯზე შეამცირონ თავისუფალი დრო და ა.შ. [5, გვ. 48-49]. ასეთი ლოგიკიდან გამომდინარე შემოსავლის ეფექტი გადასახადების გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობის ამალღების ხელშეწყობად გვევლინება.

უარყოფითი ანუ საგადასახადო ტვირთის ეფექტების ჯგუფს მიეკუთვნება ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი². გადასახადებთან მიმართებით ჩანაცვლების ეფექტის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ყველა სახის საქმიანობა დაბეგვრას არ ექვემდებარება და ის რაც იბეგრება, როგორც წესი, იბეგრება სხვადასხვა განაკვეთით. როდესაც გადასახადები იზრდება, ჩანაცვლების ეფექტის გავლენის შედეგად ეკონომიკური საქმიანობა დაბეგვრადი სფეროდან არადაბეგვრად სფეროში ან მალაღი გადასახადების სფეროდან დაბალი გადასახადების სფეროში გადადის. ინდივიდები აქტიურად ეძებენ და ხშირ შემთხვევაში პოულობენ გზებს, რომელთაც შესაძლებელია გადასახადების მთლიანად ან ნაწილო-

² ეს ორი ეფექტი შემოსავლის ეფექტთან ერთად გადასახადების ძირითად მახასიათებლებადგა განხილული ატკინსონისა და სტიგლიცის ზემოთ აღნიშნულ წიგნში [5, გვ. 48-49].

ბრივ თავიდან აცილება. გადასახადებიდან თავის დაღწევის ამ გზებს ეკონომიკური აქტიურობის შემცირებამდე მივყავართ. ასეთივე შედეგი მიიღება ფინანსური ეფექტის შედეგადაც. ეს ეფექტი მაშინ წარმოიშვება, როცა ერთი და იგივე საქმიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება ანაზღაურდეს და, შესაბამისად, დაბეგვრის განაკვეთიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ ეფექტის გამოვლენის კლასიკური მაგალითია შემთხვევა, როდესაც გაზრდილი გადასახადების თავიდან ასაცილებლად სამეურნეო სუბიექტებს შორის ნაღდი გადახდების გამოყენება და ძირდილოვან ეკონომიკაზე გადასვლა ხორციელდება.”

მოდიოთ, ვნახოთ ამ ტექსტის აბუსევილიზაციული ვერსია ჯერ ინგლისურად, შემდეგ კი ქართულ თარგმანში. ბატონი აბუსევილიძე თავისი სტატიის მე-3 პარაგრაფს ასე იწყებს:

“3. Survey. In respect to taxation pressure, peculiarities of economic activeness and output may be explained by means of the balancing of positive and negative effects. Hereinafter the effects promoting growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those preventing such growth in case of decrease of taxation pressure is called “positive”, and vice versa: the effects preventing growth of economic activeness and output in case of increase of taxation pressure and those promoting such growth in case of decrease of taxation pressure is called “negative.”

The group of positive effects may include the effect of creation of economic environment (or economic ability of state) and the effect of benefits. The effect of creation of economic environment supposes that the growing of taxation pressure up to the optimal level – 38,2% (Abuselidze, 2005) – extends the financial abilities of the state and performs its economic function better (please see the Abuselidze curve).

This effect is positive for output, as in conditions of growing tax revenues, first of all supply from the public sector itself grows by means of creation of more public wealth and services, and, secondly, the state improves business environment, which is very important for promotion of growth of economic activeness in private sector. The effect of benefits

defines direct influence of taxes on individuals' behaviour. So, the effect of benefits promotes economic activeness in case of growing of taxation pressure up to the optimal level.

The group of negative effects includes the effect of replacement and financial effect. Existence of the effect of tax replacement is provided with that some kinds of business are not taxable, besides those taxable are liable to various rate taxes. When tax rates grows over the optimal pressure, the result is the effect of the replacement of business transfers from taxable spheres to tax-free spheres or from the spheres of heavy taxes to the spheres of lower taxes. Individuals actively seek and often find ways to avoid taxes partly or wholly. Such ways of avoiding taxation lead to reduction of budget revenues (Abuselidze, 2005). The same result is received resulted financial effect. This effect originates when the same business may be compensated in various forms and correspondingly the rate may vary. A classic example of the influence of this effect is the case when for the purpose of avoiding grown tax the business entities shift taxes onto each other and transfer to shadow economy.

3. კვლევა. საგადასახადო წნეხთან მიმართებაში ეკონომიკური აქტიურობისა და გამოშვების თავისებურებები დადებითად და უარყოფითად მოქმედი ეფექტების დაბალანსების საშუალებით შეიძლება ავხსნათ. შემდეგში "დადებითს" ეუწოდებთ ეფექტს, რომელიც საგადასახადო წნეხის გადიდებისას ეკონომიკური აქტიურობისა და ერთობლივი გამოშვების ზრდის ხელშემწყობია, ხოლო შემცირებისას ხელშემშლელი ხდება. პირიქით, "უარყოფითს" მივაკუთვნებთ ეფექტებს, რომლებიც ეკონომიკურ აქტიურობასა და გამოშვებას საგადასახადო წნეხის გადიდებისას ამცირებს, შემცირებისას კი ზრდის.

დადებითი ეფექტების ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური გარემოს (ან სახელმწიფოს ეკონომიკური უნარის) შექმნის ეფექტი და სარგებლის ეფექტი. ეკონომიკური გარემოს შექმნის ეფექტი გულისხმობს, რომ საგადასახადო წნეხის ზრდა ოპტიმალურ დონემდე – 38,2% (აბუსელიძე, 2005) აფართოებს სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობას და იგი

უკეთესად ასრულებს მასზე დაკისრებულ ეკონომიკურ ფუნქციებს (გთხოვთ იხილოთ აბუსეელიძის მრუდი).

ეს ეფექტი დადებითად აისახება გამოშვებაზე, რადგანაც გაზრდილი საგადასახადო შემოსავლები პირობებში, ჯერ ერთი, იზრდება საკუთრივ სახელმწიფო სექტორის მხრიდან მიწოდება მის მიერ მეტი პროდუქტისა და მომსახურების შექმნის გზით და, მეორე, სახელმწიფო აუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია კერძო სექტორის ერთობლივი მიწოდების გადიდების ხელშეწყობისათვის. სარგებლის ეფექტი ახასიათებს ინდივიდის ქცევაზე გადასახდების პირდაპირ გავლენას. შესაბამისად, საგადასახადო წნეხის ოპტიმალურ დონემდე ზრდის შემთხვევაში სარგებლის ეფექტი ხელს უწყობს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას.

უარყოფითი ეფექტების ჯგუფს მიეკუთვნება ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი. გადასახადებთან მიმართებით ჩანაცვლების ეფექტის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ყველა სახის საქმიანობა დაბეგვრას არ ექვემდებარება და ის რაც იბეგრება, როგორც წესი, იბეგრება სხვადასხვა განაკვეთით. როდესაც საგადასახადო განაკვეთი ოპტიმალური წნეხის ზევით იზრდება, ჩანაცვლების ეფექტის გავლენის შედეგად ეკონომიკურ საქმიანობა დაბეგვრადი სფეროდან არადაბეგვრად სფეროში ან მაღალი გადასახადების სფეროდან დაბალი გადასახადების სფეროში გადადის. ინდივიდები აქტიურად ეძებენ და ხშირ შემთხვევაში პოულობენ გზებს, რომლითაც შესაძლებელია გადასახადების მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილება. გადასახადებიდან თავის დაღწევის ამ გზებს საბიუჯეტო შემოსავლების შემცირებისაკენ მიყვავართ (აბუსეელიძე, 2005). ასეთივე შედეგი მიიღება ფინანსური ეფექტის შედეგადაც. ეს ეფექტი მაშინ წარმოიშვება, როცა ერთი და იგივე საქმიანობა სხვადასხვა ფორმით შეიძლება ანაზღაურდეს და, შესაბამისად, დაბეგვრის განაკვეთიც შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამ ეფექტის გამოვლენის კლასიკური მაგალითია შემთხვევა, როდესაც გაზრდი-

ლი გადასახადების თავიდან ასაცილებლად კომპანიები გადასახადებს ერთმანეთში ცვლიან და გადადიან ჩრდილოვან ეკონომიკაში”.

როგორც ვხედავთ, მოყვანილი ტექსტი იმდენად უმნიშვნელოდ განსხვავდება ჩვენი ტექსტისაგან, რომ რაიმე კომენტარის გაკეთება ზედმეტია. მაგრამ, ამის მიუხედავად, მკითხველის ყურადღება რამდენიმე გარემოებას გვინდა მივაპყროთ. პირველი უკავშირდება იმას, რომ აბუსელები არაფრად ჩაგვაგვლო არა მარტო ჩვენ, არამედ, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერები ა. ატკინსონი და ჯ. სტიგლიცი და მათ ნაშრომზე ჩვენს ტექსტში არსებულ მითითებებს გვერდი აუარა. თუმცა აღსანიშნავია, რომ აბუსელების სტატიის ბოლოს დართულ ლიტერატურის ჩამონათვალში ა. ატკინსონისა და ჯ. სტიგლიცის აღნიშნული წიგნი [5], თითქოსდა, გამოყენებული გვერდების მითითებითაა წარმოდგენილი. ამ ფაქტს ხაზს ვუსვამთ იმიტომ, რომ ა. ატკინსონისა და ჯ. სტიგლიცის ციტირებისას ზემოთ მოყვანილ აბზაცებში ჩვენ მიერ შეცდომით 47 და 48 გვერდის ნაცვლად, მითითებულია 48-49 გვერდი. გვერდების ზუსტად ასეთივე არასწორი მითითებაა მოცემული აბუსელების მიერ.

მეორე, თუ მიაქციეთ ყურადღება ჩვენი ტექსტისაგან აბუსელების ტექსტის მოყვანილი ნაწყვეტი, თუ თარგმანის თავისებურებას არ მივიღებთ მხედველობაში, ძირითადად იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელში ავტორი ორჯერ მოიხსენიებს თავის გვარს – ერთ შემთხვევაში “საგადასახადო წინების ოპტიმალური დონის – 38,2%-ის” დამდგენ ავტორად, მეორე შემთხვევაში “აბუსელების მრუდის” ავტორად. გვინდა დაგადასტუროთ, რომ როგორც მოყვანილი პროცენტული რიცხვი, ასევე “მრუდი” (უფრო სწორად, ტიხილი და არა მრუდი, როგორც ამას თვითონ გ. აბუსელები უწოდებს) ნამდვილად გ. აბუსელების “ნააზრევია” და მის კუთვნილებასთან დაკავშირებით არავითარი პრეტენზია არ გაგვაჩნია (ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი უაზრობისაგან). ყურადღების გამახვილება აქ სხვა რამეზე გვინდა. საქმე ისაა, რომ რიცხვიც და “მრუ-

დიც“ აბუსელობებს ჯერ კიდევ 2005 წელში გამოქვეყნებულ თავის სტატიაში [9] აქვს მოყვანილი ყოველგვარი რეალური ეკონომიკური დასაბუთების გარეშე, მათემატიკაში კარგად ცნობილი ოქროს კვეთის შეფარდება, რომელიც მთელის ორ ერთმანეთის არატოლდ 0,382 და 0,618 ნაწილებად დაყოფას გულისხმობს (რომლის დროსაც დიდი ნაწილის მთელთან შეფარდება ემთხვევა მცირე ნაწილის დიდთან შეფარდებას), აბუსელობის აზრით საფუძვლად უნდა დაედოს ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობის დადგენას, ანუ ასეთ განაკვეთად უნდა ავირჩიოთ 0,382 (ანუ 38,2%). მაგრამ ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობად 0,382-ის მხოლოდ იმიტომ არჩევა, რომ იგი მათემატიკაში ცნობილი რიცხვია, აშკარად დაუშვებელია. არანაკლებ ცნობილ რიცხვს წარმოადგენს, მაგალითად, ნატურალური ლოგარითმის ფუნქცია, ანუ ნეპერის რიცხვი e , ან კიდევ წრეწირის სიგრძის მის დიამეტრთან შეფარდების აღმნიშვნელი რიცხვი π . სხვათაშორის, ამათგან პირველის შებრუნებული 0,368-ს უდრის, მეორეს შებრუნებული კი 0,318-ს. ბუნებრივია ვიკითხოთ, ოპტიმალურ საგადასახადო განაკვეთის მნიშვნელობად რატომ უნდა ავიღოთ 38,2% და არა 36,8% ან 31,8%, მით უმეტეს, რომ ამათგან უკანასკნელი (31,8%) ძალიან ახლოს არის, მაგალითად, აშშ-ში არსებულ საშუალო საგადასახადო განაკვეთთან? ამ კითხვაზე მარტივი პასუხი არსებობს: ეკონომიკისთვის “ღამაზი” მათემატიკური კანონზომიერებების, აბსტრაქციების, განსაკუთრებული თვისების მქონე რიცხვების, მიმდევრობების და ა.შ. ხელფერად თავს მოხვევა, როგორც ამას გ. აბუსელობი გვთავაზობს, დაუშვებელია. ყველა ეკონომისტმა იცის, და ეს ალბათ აბუსელობივმაც უნდა იცოდეს, რომ ეკონომიკა, სხვა ყველაფერთან ერთად, სოციალური სისტემა და მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები ამ სისტემაში ჩართულ სუბიექტთა ქცევით, მათი კონკრეტული იმანენტური თვისებებით, ტრადიციებით, ჩვევებით, გარემოთი და ა.შ. განისაზღვრება, რომელიც მუდმივად იცვლება. აქედან გამომდინ-


არტ, ჩვენ თუ გვინდა, მაგალითად, ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთის განსაზღვრა, მაშინ განყენებული მოდელის ან რიცხვის ნაცვლად უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ ისეთი მოდელი, რომლის სტრუქტურა და თვისებები კონკრეტულ ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ადეკვატური ასახვა იქნება.

მესამე, როდესაც ვმსჯელობთ საგადასახადო ტვირთის მნიშვნელობასა და როლზე, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ე.წ. წარმოებრივი და ფისკალური მრუდები. წარმოებრივი მრუდი შეესაბამება ერთობლივი გამოსაშვების ფუნქციას $Y = Y(t)$, რომელიც ახასიათებს საგადასახადო ტვირთის ცვლილების გავლენას მთლიან გამოსაშვებაზე, მაშინ როცა ფისკალური მრუდი შეესაბამება ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ფუნქციას $T = T(t)$ და აღწერს საგადასახადო ტვირთის ცვლილების გავლენას ბიუჯეტის შემოსავლების სიდიდეზე. არაერთი გამოკვლევით დასაბუთებულია, რომ ეს ორი ფუნქცია და, შესაბამისად, მრუდი, როგორც წესი, თავის მაქსიმუმს საგადასახადო ტვირთის სხვადასხვა მნიშვნელობაზე აღწევს, ამასთან, მაქსიმალური ფისკალური ეფექტი (საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმუმი) საგადასახადო ტვირთის უფრო მაღალი მნიშვნელობის პირობებში მიიღწევა, ვიდრე მაქსიმალური საწარმოო ეფექტი (მაქსიმალური ერთობლივი გამოსაშვება). ზემოთ მოყვანილ ჩვენს ტექსტში, რომელიც ასე პირწმინდად აქვს გ. აბუსედიძეს გადმოღებული, მსჯელობაა ერთობლივი გამოსაშვების მრუდზე (შესაბამისად ფუნქციაზე) და იმ შესაძლო ოთხ ეფექტზე, რაც მის სახესა და თვისებებს განაპირობებს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ გ. აბუსედიძე ერთმანეთში ურთევს წარმოებრივ და ფისკალურ მრუდებს, რადგანაც იგი "თავის" ტექსტში მსჯელობს გამოსაშვების მრუდსა და იმაზე, თუ როგორ ახდენს საგადასახადო ტვირთის ცვლილება გავლენას ეკონომიკურ აქტიურობასა და გამოსაშვების მოცულობაზე და "გვთხოვს ვიხილოთ აბუსედიძის მრუდი", რომელიც ფისკალური მრუდია (უფრო სწორედ, ტეხილია).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, გ. აბუსელიძის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მსჯელობას ჩვენ, სავარაუდოდ, ამდენ ყურადღებას არ დავუთმობდით, რომ არა მის სტატიაში მოცემული ე.წ. "დასკვნები და რეკომენდაციები", რასაც არაფერი საერთო არა აქვს სტატიის წინა ნაწილებთან და მთლიანად გადაღებულია ერთ-ერთი ჩვენი სტატიიდან ან წიგნიდან. ჩვენი აღშფოთების მიზეზი განსაგები რომ გახდეს, გვინდა ძალიან მოკლე შესავალი გავაკეთოთ.

ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს, ერთ-ერთმა ჩვენგანმა წამოაყენა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის იდეა [10]. მოგვიანებით ამ იდეის შემდგომ სრულყოფას, შესაბამისი მოდელის აგებას და გამოკვლევას მიუძღვენით რამდენიმე სტატია [11-15] და წიგნი [8]. ამ პუბლიკაციებში მივედით დასკვნამდე, რომ ეკონომიკაში გადასახადების როლის სრულფასოვანი ახსნა და კეინზიანური და ლაფერის (მიწოდების ეკონომიკის წარმომადგენლის) თეორიების ცალმხრივობის გადალახვა შესაძლებელია მაკროეკონომიკური წონასწორობის მოდელის განხილვის საფუძველზე, რომელიც ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ფუნქციებისაგან შედგება. მაგრამ, ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების სტანდარტული მოდელისაგან განსხვავებით, ეს ფუნქციები განხილულ უნდა იქნეს არა ფასების დონისა და გამოშვების მოცულობის საკოორდინატო ღერძების სიბრტყეზე, არამედ საგადასახადო განაკვეთისა (t) და გამოშვების მოცულობის (Y) საკოორდინატო ღერძების სიბრტყეზე. ამასთან, დაგანაბრებით, რომ ასეთი მოდელის პირობებში ერთობლივი მოთხოვნის მრუდი, იმისდა მიხედვით, თუ როგორი შესაბამისობა არსებობს მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას b -ს და სახელმწიფო შესყიდვებისადმი ზღვრულ მიდრეკილებას g -ს შორის, შეიძლება იყოს კლებადი ან ზრდადი საშუალო საგადასახადო განაკვეთის მიმართ. ყოველივე ამის შედეგად ავაგეთ და გავაანალიზეთ მაკროეკონომიკური წონასწორობის

მოდელი როგორც ფორმალურ-მათემატიკური ჭრილობით, ასევე შესაბამისი გრაფიკული ილუსტრაციების გამოყენებით. ამ ილუსტრაციების საფუძველია გრაფიკული მოდელი (იხ. ნახ. 1), რომელიც გვიჩვენებს, რომ მოცემული ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდებისთვის ლაფერ-კეინზიანური სინთეზის მოდელში შეიძლება არ არსებობდეს ან შეიძლება არსებობდეს წონასწორული საშუალო საგადასახადო გაზაკეთის ერთი ან ორი მნიშვნელობა.




ნახ. 1. წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში

გრაფიკულ ილუსტრაციებს განსაკუთრებით გვინდა გავესვათ ხაზი, ვინაიდან გ. აბუსელიძეს ის ეტყობა ძალიან მოეწონა (თუმცა, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ გაიგო მათი დანიშნულება) და ტექსტის გარკვეულ ფრაგმენტთან ერთად საკუთარ შემოქმედებად გამოაცხადა. მოვიყვანოთ ჩვენი ტექსტის ეს ფრაგმენტი სტატიიდან [7], რომელიც გამოყენებული დიტერატურის ჩამონათვალში გ. აბუსელიძეს სხვათაშორის აქვს მითითებული.

მკითხველისათვის მოყვანილი ფრაგმენტის შინაარსი გასაგები რომ იყოს, აღვნიშნავთ, რომ იგი ლაფერ-კეინზიანური სინთეზის ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელის პირობებში აღწერს მაკროეკონომიკური წონასწორობის აღდგენის ერთ-ერთ სცენარს, როცა წონასწორობის დაბრუნებას განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება.

“იმის გასარკვევად, თუ როგორ მყარდება მოყვანილი მოდელის პირობებში საქონლის ბაზრის წონასწორობა, მიემართოთ ნახ. 2-ზე წარმოდგენილ შემთხვევებს. საწყის ეტაპზე ჩავთვალოთ, რომ მოცემული $Y^S(t)$ და $Y^D(t)$ წირებისთვის წონასწორობა F წერტილში არსებობს და მას t_1 საშუალო საგადასახადო განაკვეთი შეესაბამება. ვთქვათ, გარკვეული მიზეზების გამო ავტონომიური ხარჯები რაიმე ΔA სიდიდით გაიზარდა. სხვა თანაბარ პირობებში ეს ცვლილება გამოიწვევს ერთობლივი მოთხოვნის გაზრდას და შესაბამისი მრუდის გადაადგილებას ახალ $Y_1^D(t)$ მდგომარეობაში ნახ. 2-ზე ნაჩვენებია სახით.



ნახ. 2 წონასწორობის ადდგენა ერთობლივი მოთხოვნის ცვლილების პირობებში

ვინაიდან საშუალო საგადასახადო განაკვეთი თვითრეგულირებას მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება, ამიტომ, თუ დავეუშვებთ, რომ ერთობლივი მიწოდების ზემოთ განხილული თეორია სამართლიანია, მაშინ შექმნილ სიტუაციაში ახალი წონასწორობის ჩამოყალიბებისათვის გაზრდილი

აქტონომიური ხარჯების პარადელურად სახელმწიფომ შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე t -ს მნიშვნელობა t_1 -დან t'_1 -მდე უნდა გაზარდოს. საქმე ისაა, რომ საწყისი წონასწორობის F წერტილში ეკონომიკა ერთობლივი მიწოდების მრუდის აღმაგულ ნაწილზე იმყოფება. ასეთ შემთხვევაში t -ს გადიდებით წარმოქმნილი ეფექტებიდან დომინირებადია ერთობლივი მიწოდებაზე დადებითად მოქმედი გარემოს შექმნის ეფექტის და შემოსავლების ეფექტის ჯამი. ამიტომ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, გადასახადების გადიდება ხელს შეუწყობს რესურსების მიწოდების ზრდას. არსებული რესურსების გაზრდილი რაოდენობით გამოყენების პირობებში ერთობლივი გამოშვება გაიზრდება და წონასწორობა F_1 წერტილში აღმოჩნდება.

განსხვავებულ სიტუაციას ქმნებოდა ადგილი ეკონომიკის წონასწორობის საწყისი წერტილი F -ის ნაცვლად E -ში რომ ყოფილიყო. ნახ. 2-ის მიხედვით ეს უკანასკნელი ერთობლივი მიწოდების დაღმაგულ ნაწილზე მდებარეობს, სადაც დომინირებულ როლს უკვე გადასახადების უარყოფითი ეფექტები (ზანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი) ასრულებს. ცხადია, ასეთ პირობებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისებისა და ერთობლივი მიწოდების გადიდების ბუნებრივ გზას საშუალო საგადასახადო განაკვეთის შემცირება წარმოადგენს. ამიტომ, შექმნილ პირობებში სიტუაციაში

სახელმწიფო t -ს მნიშვნელობას თუ შეამცირებს t_2 -დან t'_2 -მდე, მაშინ ეკონომიკა შესძლებს ახალ E_1 წონასწორობაში გადასვლას და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის შესაბამის დაკმაყოფილებას.”

მოდით, ვნახოთ ახლა როგორ არის ეს ყველაფერ სიტუაცია-სიტუაციით მითვისებული აბუსელობის მიერ. იგი წერს (ჩვენს ტექსტთან მოყვანილი ტექსტის იდენტურობას ადვილად შენიშნავთ. ამიტომ გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, აგრეთვე, გრაფიკების ქვეშ გაკეთებულ მინაწერებს):

“Let us assume that at the initial stage balance of output and economic activeness is at point F and it is corresponded with tax rate t .

Let us say that due to some circumstances state charge grew to some value. In other equal conditions this change will cause growing of economic activeness and correspondingly curve moves to the new position. In such situation, for the purpose of achieving the new balance, simultaneously with grown expenses state has to rise t value up to t_2 . The matter is that at F point of the initial balance economy is on the ascending part of the curve of aggregate supply. In such case, among the effects originated resulted rise of the t sum of the effect of creation of output promoting environment and the effect of revenues prevail. That is why, ironically enough, rise of taxes up to t_2 will promote growing of recourses supply. In circumstances of grown quantity of using recourses available the aggregate output will grow and balance will be achieved at point F_1 (Fig. 3).




Fig. 3. Tax policy and effect of Economics—Abusclidze version

The different situation takes place, when the initial balance point is at E . This latter is on the descending part of output and aggregate supply, where prevailing role belongs to negative effects of taxes (effect of replacement and financial effect). Certainly, in such conditions lowering of taxation pressure is a natural way of economic activeness stimulation and growth of output. That is why, in this hypothetic situation, if state reduces t value from t_1 to t_2 , then economy will manage to transfer to the new balance at E_1 and satisfy the grown aggregate demand (Fig. 4).




Fig. 4. Tax policy and effect of Economics—Abushidze version

დაეუშვათ, რომ საწყის ეტაპზე, გამოშვებასა და ეკონომიკურ აქტიურობას შორის წონასწორობა არის F წერტილში და ის შეესაბამება საგადასახადო განაკვეთ t -ს. ვთქვათ, რომ გარკვეული მიზეზების გამო სახელმწიფო დანახარჯები გარკვეული სიდიდით გაიზარდა. სხვა თანაბარ პირობებში, ეს ცვლილება გამოიწვევს ეკონომიკური აქტიურობის ზრდას და შესაბამისი მრუდის გადაადგილებას ახალ მდგომარეობაში. შექმნილ სიტუაციაში, ახალი წონასწორობის მიღწევის მიზნით, გაზრდილ დანახარჯებთან ერთად სახელმწიფომ ერთდროულად, t -ს მნიშვნელობა t_2 -მდე უნდა გაზარდოს. საქმე ისაა, რომ საწყისი წონასწორობის F წერტილში ეკონომიკა ერთობლივი მიწოდების მრუდის აღმავალ ნაწილზე იმყოფება. ასეთ შემთხვევაში t -ს გადიდებით წარმოქმნილი ეფექტებიდან დომინირებადია გამოშვების ზრდის ხელშემწყობი გარემოს შექმნის ეფექტისა და შემოსავლების ეფექტის ჯამი. ამიტომ, რაოდენ ირონიულიც არ უნდა იყოს, გადასახადების t_2 -მდე ზრდა ხელსშეუწყობს რესურსების მიწოდების ზრდას. არსებული რესურსების გაზრდილი რაოდენობით გამოყენების პირობებში ერთობლივი გამოშვება გაიზარდება და წონასწორობა F_2 წერტილში აღმოჩნდება (ნახ. 4. საგადასახადო პოლიტიკა და ეკონომიკური ეფექტი - აბუსეილიძის ვერსია).

განხვავებულია სიტუაცია, როდესაც საწყისი წონასწორობა არის E წერტილში. ეს უკანასკნელი გამოშვების და ერთობლივი მიწოდების დაღმავალ ნაწილზე მდებარეობს, სადაც დომინირებულ როლს უკვე გადასახადების უარყოფითი ეფექტები (ჩანაცვლების ეფექტი და ფინანსური ეფექტი) ასრულებს. ცხადია, რომ ასეთ პირობებში ეკონომიკური აქტიურობის წახალისებისა და გამოშვების გაზრდის ბუნებრივ გზას საგადასახადო წნეხის შემცირება წარმოადგენს. ამიტომ, შექმნილ პიპოთეზურ სიტუაციაში სახელმწიფო t -ს მნიშვნელობას თუ შემაცირებს t_1 -დან t_2 -მდე, მაშინ ეკონომიკა შესძლებს ახალ E_1 წონასწორობაში გადასვლას და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას (ნახ. 4. საგადასახადო პოლიტიკა და ეკონომიკური ეფექტი – აბუსელოძის ვერსია)”

მთლიანობაში, აბუსელოძის სტატიის დასკვნა და რეკომენდაციები, აქ მოყვანილი ძირითადი ფრაგმენტის გარდა, კიდევ ორ აბზაცს შეიცავს. ორივე მათგანში პლაგიატის აშკარა ნიშნებია. მართალია, ზემოთ მოყვანილიც საკმარისია იმის საჩვენებლად, თუ ვისთან და რასთან გვაქვს საქმე, მაგრამ არ შეგვიძლია ბოლო აბზაცზე რომ არ გავამახვილოთ ყურადღება, რომელიც შემდეგი სახისაა:

“In spite of curves shifting fiscal points t_1 and t_2 remain unchanged, although maximum values of output and economic activeness determined by these points do change (Fig. 5). So, the level of balance of economic activeness and output depends on optimal taxation pressure $t_2=38,2\%$.

მრუდების გადაადგილების მიუხედავად, ფისკალური წერტილები t_1 და t_2 უცვლელი რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ამ წერტილებით განსაზღვრული გამოშვების მაქსიმალური მოცულობა და ეკონომიკური აქტიურობა იცვლება (ნახ. 5. საგადასახადო ტვირთის მრუდები – ლეპერისა და აბუსელოძის თანახმად). ამრიგად, ეკონომიკური აქტიურობისა და გა-

მოშვების წონასწორობის დონე დამოკიდებულია ოპტიმალურ საგადასახადო წნეხზე $t_2 = 38,2\%$.




Figure 5. Tax burden curves - compliance with Laper and Abuselidze³³.

ეს აბზაცი აბუსელიძის ზემოთ მოყვანილი ტექსტის პირდაპირი გაგრძელებაა, თუმცა, შინაარსობრივად მასთან დაკავშირებული არ არის. უფრო მეტიც, ზვენი ტექსტიდან იმდენად უადგილოდაა ამოგლეჯილი, რომ მის საფუძველზე რაიმე დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. რაც შეეხება მოყვანილ გრაფიკს, რომელსაც გ. აბუსელიძემ რატომღაც თავისი და ლეპერის (7) სახელები მიაწება, კარგად არის ცნობილი და ერთობლივი მიწოდების და ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მრუდების ილუსტრირებისათვის გამოიყენება. მაგალითად, სტატიაში [7] ან წიგნში [8, გვ. 104-105], რომლიდანაც საგარეუდოდ ეს გრაფიკი და თანდართული ტექსტია გადმოღებული, წერია:

“ერთობლივი მიწოდების სიდიდე $Y(t)$ და საგადასახადო შემოსავლები $T(t)$ დამოკიდებულია, როგორც t -ზე, ასევე ეკონომიკური რესურსების, კერძოდ კი, კაპიტალისა K და შრომის L მოცულობაზე და მათი შესაძლო გამოყენების სიდიდეზე. ცხადია, თუ სხვა თანაბარ პირობებში K -ს ან L -ის მნიშვნელობა შეიცვლება, მაგალითად, ზრდის მიმართულებით, მაშინ ნახ. 1-ზე (ანუ ზემოთ მოყვანილ ნახ. 5-ზე) მოცემულ საკოორდინატო სისტრქვეზე $Y(t)$ -ს და $T(t)$ -ს მრუდები

მოთხვეულის ევრადლება გვინდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბატონი აბუსელიძე მხოლოდ ერთხელ წერს სტატიაში ლეპერის გუარს სწორედ. სხვა შემთხვევებში ის დამახინჯებითაა მოყვანილი.

ზემოთ გადაადგილებდა, ვინაიდან ორივე ეს ფუნქცია K -ს და L -ის მიმართ ზრდადია. ამასთან, მრუდთა გადაადგილებების მიუხედავად, ფისკალური წერტილები i^* და i^{**} (ანუ ნახ. 5-ზე i_1 და i_2 წერტილები) უცვლელი რჩება, თუმცა, იცვლება ამ წერტილებით განსაზღვრული ერთობლივი მიწოდებისა და საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალური მნიშვნელობები.“

დასასრულად, დასკვნის სახით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს გამოხმაურება, ალბათ, სიურპრიზი იქნება საკუთრივ გ. აბუსეიდიძისთვის. ვფიქრობთ, როცა იგი ამ სტატიას ლიტვაში გამოსაქვეყნებლად აგზავნიდა, ალბათ არ მოელოდა თუ ვინმე წაიკითხავდა მას საქართველოში. მაგრამ ასეც რომ იყოს, ეს მას არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს. ასევე არ შეიძლება საყვედური არ გამოვთქვათ ჟურნალ “Intellectual Economics”-ის რედაქციის მიმართ. ჩვენ გვესმის, რომ ჟურნალის რედაქტორის ან რეცენზენტისათვის ძნელი დასადგენი იქნებოდა სტატიის ავტორის მეცნიერული კეთილსინდისიერება. მაგრამ მათი უშუალო მოვალეობაა არ დაბეჭდონ არაკომპეტენტურად დაწერილი სტატია, რომლის თვალსაზრისით ნიმუშს, პლაგიატურობასთან ერთად, სწორედ გ. აბუსეიდიძის აქ განხილული სტატია წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Abuselidze George. The Influence of Optimal Tax Durden on Economic Activity and Production Capacity // Intellectual Economics, 2012, Vol. 6, No. 4 (16), http://www.mruni.eu/en/moksls_darbai/ie/paskutinis_numeris/dwn.php?id=334919.

2. ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. რესურსების გამოყენების ეფექტიანობასა და მოცულობაზე საგადასახადო ტვირთის გავლენის შეფასების მოდელები // ეკონომისტი, 2011, №1;

3. Ю. Ананиашвили, В. Папав. Налог, технология производства и экономический рост // Общество и экономика, 2011, № 4-5;

4. I. Ananiashvili, V. Papava. Taxes, Production Technology, and Economic Growth // Problems of Economic Transition, 2012, Vol. 54, No. 12;

5. Аткинсон Э. Б., Стиглиц Дж. Э. Лекции по экономической теории государственного сектора. Москва, Аспект Пресс, 1995.

6. Стиглиц Дж. Э. Экономика государственного сектора.

Москва, МГУ, ИРФРА-М, 1997;

7. ი. ანანიაშვილი. გადასახადების გავლენა ერთობლივ მიწოდებაზე // ეკონომიკა და ბიზნესი, 2009, №1;

8. ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. გადასახადები, მოთხოვნა და მიწოდება: ლაფერ-კეინზიანური სინთეზი. თბილისი, სიახლე, 2009;

9. გ. აბუსელიძე. ბიუჯეტის შემოსავლების პერსპექტივებში ახალი საგადასახადო კოდების ასპექტით // სოციალური ეკონომიკა, 2005, №1;

10. V. Papava. The Georgian Economy: From "Shock Therapy" to Social Promotion" // Communist Economics & Economic Transformation, 1996, Vol. 8, No. 2;

11. ი. ანანიაშვილი. გადასახადები და მაკროეკონომიკური წონასწორობა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ეკონომიკის სერია, 2004, ტ. 12, №1-2;

12. ი. ანანიაშვილი, ვ. პაპავა. მაკროეკონომიკური წონასწორობა ლაფერ-კეინზიანური სინთეზის პირობებში // ეკონომისტი, 2010, № 5;

13. Ю. Анааниашвили, В. Папавა. Роль средней налоговой ставки в кейнсианской модели совокупного спроса // Общество и экономика, 2010, № 3-4;

14. Ю. Анааниашвили, В. Папавა. Лафферо-кейнсианский синтез и макроэкономическое равновесие // Общество и экономика, 2010, № 9;

15. I. Ananiashvili, V. Papava. Macroeconomic Model of Laffer-Keypnesian Synthesis // Problems of Economic Transition, 2012, Vol. 54, No, 12.